პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 247 (5277)

1974 წ. 14 დეკემბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



● ჩელიაბინსკი, 12 დეკემბერი. ამ ქალაქის „ელექტრომეტალურგის" საცურაო აუზში დამთავრდა წყალში მხტომელთა საკავშირო ჩემპიონატი. 1-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში ქალთა შორის ჩემპიონი გახდა პენზელი რ. კალინინა, ვაჟებში უძლიერესი იყო ვ. ტრეგუბი (დნეპროპეტროვსკი). 5-მეტრიან კოშკიდან ხტომაში ჩემპიონები გახდნენ მინსკელი ო. სლასტნიკოვა და ერევნელი დ. ამბარცუმიანი.

● მოსკოვი, 12 დეკემბერი. „იზვესტიის" პრიზზე გამართულ ჰოკეისტთა საერთაშორისო ასპარეზობაში სსრ კავშირის ეროვნული ნაკრები შეხვდა შვეციის ეროვნულ გუნდს. გაიმარჯვეს საბჭოთა ჰოკეისტებმა — 7:2 (2:0, 3:2, 2:0).

● მოსკოვი, 12 დეკემბერი. „კრილია სოვეტოვის" სპორტის სასახლეში სტარტი მიეცა მოკრივეთა ასპარეზობას სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელისთვის. შეჯიბრებაში გამოდის 21 უძლიერესი მოკრივე. პირველი დღის შეხვედრებიდან საინტერესო იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, ორსკელი ე. გორსტკოვისა და ლიპეცკელი პ. ზაევის ორთაბრძოლა. ძნელი გამარჯვება მოიპოვა ჩემპიონმა.

● ოტავა, 12 დეკემბერი. კანადაში სტუმრადაა სსრ კავშირის ჰოკეისტთა II ნაკრები გუნდი, რომელიც რამდენიმე შეხვედრას გამართავს ადგილობრივ სპორტსმენებთან. საბჭოთა ჰოკეისტებმა პირველი მატჩი (იგი მონრეალში შედგა) ჩაატარეს „მონრეალ კანადიენსის" ახალგაზრდულ გუნდთან. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:3 (2:1, 1:0, 1:2). საბჭოთა გუნდმა მომდევნო შეხვედრა გამართა ედმონტონში ადგილობრივ „ედმონტონ დეილი კინგზთან" და მოიგო შეხვედრა ანგარიშით 5:4 (3:1, 1:2, 1:1).

● ბონი, 12 დეკემბერი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა ვ. დაუმემ, რომელიც ამავე დროს არის თავისი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, განაცხადა, რომ გფრ-ს თამამად შეუძლია წამოაყენოს თავისი კანდიდატურა 1984 წლის ზამთრის ოლიმპიადის მოწყობაზე. დაუმემ დაასახელა „თეთრი ოლიმპიადის" ჩატარების სავარაუდო ადგილები — ობერსტდორფი, გარმიშ-პარტენკირხენი და ბერხტესჰაგენი.



# თათბირობენ ჟურნალისტები

12 დეკემბერს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო ჟურნალისტთა ზონალურმა სემინარმა თემაზე: „პრესის, ტელევიზიისა და რადიოს როლი ცხოვრების საბჭოური წესის დამკვიდრებისა და პროპაგანდის საქმეში". სემინარი მოაწყეს სსრ კავშირისა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობებმა.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ ჟურნალისტები მოსკოვიდან, ლიტვიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, დაღესტნიდან, ჩრდილო-ოსეთიდან, ჩეჩენო-ინგუშეთიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან, საქართველოს სსრ რესპუბლიკური, საოლქო ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები, საქალაქო, რაიონული გაზეთის რედაქტორები, ტელევიზიის, რადიოსა და საქინფორმის მთავარი რედაქტორები.

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ლოსევმა.

სემინარის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე.

მოხსენებით „საბჭოური ცხოვრების წესი, მისი ძირითადი ხასიათი", —გამოვიდა ჟურნალ „კომუნისტის" (ლიტვა) მთავარი რედაქტორი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი მ. ზიმანასი.

მოხსენება თემაზე: „მეცნიერული მსოფლმხედველობისა და კლასობრივი შეგნების ჩამოყალიბება მთავარია იდეოლოგიურ მუშაობაში" გააკეთა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორმა, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ო. ქინქლაძემ.

შემდეგ მოისმინეს გაზეთ „მოლოდიოჟ აზერბაიჯანის" რედაქტორის რ. მუსეინოვის მოხსენება „დამრიგებელთა მოძრაობა და მისი როლი მუშათა კლასის ახალი ცვლის აღზრდაში".

სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ს. სლობოდიანიუკი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე გ. ბედინეიშვილი.

სემინარი მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

# კარგი მაგალითია მისაბაძად

ზაპოროჟიეში დაიწყო სსრ კავშირის თასისა და ძალოსნური ორჭიდის ცალკეულ სახეობებში ჩემპიონის ოქროს მედლების გათამაშება. ასპარეზობენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები.

უმჩატესი წონის ძალოსანთა შეჯიბრებაში დამყარდა ტურნირის პირველი საკავშირო რეკორდი. მისი ავტორი გახდა 23 წლის კემეროვოელი ა. ვორონინი. მან დამატებით მეთხვედზე 101,5 კგ აიტაცა და ნახევარი კგ-ით გააუმჯობესა ს. სტარეინსკის მიერ 1971 წელს დამყარებული რეკორდი.

ამ მოძრაობაში გაიმარჯვა კუიბიშეველმა გ. პეტროვმა, რომელმაც 100 კგ აჰვენა. აკვრაში ჩემპიონის მცირე ოქროს მედალი მოიხვეჭა უკრაინის წარმომადგენელმა ჰ. გნატოვმა — 132,5 კგ. სსრ კავშირის თასი კი მოიპოვა პეტროვმა — 227,5 კგ.

მჩატე წონის ძალოსანთა ასპარეზობაში ბელორუსიის წარმომადგენელმა რ. ბელენკოვმა ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა ატაცში — 112,5 კგ. ეს ბულგარელი ძალოსნის გ. ტოდოროვის ევროპული რეკორდის გამეორებაა. ბელენკოვმა ერთი კგ-ით გააუმჯობესა ვ. ანიკინის წინანდელი საკავშირო რეკორდი.

აკვრაში ჩემპიონის მცირე ოქროს მედალი მოიპოვა ლატვიის ძალოსანმა ვ. ანიკინმა — 142,5 კგ. სსრ კავშირის თასი კი მოიხვეჭა ბელენკოვმა — 250 კგ.

შეჯიბრების მეორე დღეს ქვემსუბუქი წონის ძალოსნებმა ვერ გააგრძელეს წინა წონებში აღებული კარგი ტრადიცია რეკორდების დამყარებისა. 34 წლის დონეცკელმა ი. გოლუბცოვმა უკრაინის პირველ გუნდს ჩემპიონის ორი ოქროს მედალი მოუტანა: ატაცში 115 კგ აჰვენა, ხოლო აკვრაში 155 კგ, რითაც, ცხადია, მას საუკეთესო ჯამი აქვს ორჭიდშიც — 270 კგ.

ორჭიდში მეორე ადგილზე გავიდა თბილისელი ვეტერანი, 36 წლის დ. შანიძე, რომელიც გოლუბცოვს 7,5 კგ-ით ჩამორჩა. ასეთივე შედეგი ჰქონდა ტაშკენტელ ვ. ქარიმოვს და უპირატესობა შანიძეს მიენიჭა, რადგან ხელმეორედ აწონის შემდეგ დიტო მეტოქეზე მსუბუქი აღმოჩნდა. ასეთი რამ ხშირად როდი ხდება!

არ ვართ მიჩვეული, როცა საკავშირო შეჯიბრებებში სსრ კავშირის ჩემპიონი დ. შანიძე მეორე ადგილზე გადის, მაგრამ ამას თავისი ახსნაც აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ დიტომ ვარჯიში დაიწყო სტარტამდე სამი კვირით ადრე. მანამდე კი სამი თვის მანძილზე ტრავმის გამო ფიცარნაგს არ გაჰკარებია. მაგრამ საქართველოს გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შანიძის გამოსვლას ფიცარნაგზე. დიტომ იმედი არ გაუცრუა თანაგუნდელებს და როგორც ყოველთვის, კეთილსინდისიერად მოიხადა ვალი გუნდის წინაშე. კარგი მაგალითია მისაბაძად.

# ტექნიკუმელთა VII სპარტაკიადა

თბილისის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა ტექნიკუმების ტრადიციული VII სპარტაკიადა. მოსწავლეთა გუნდებმა იასპარეზეს ხელბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, სპორტულ ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვასა და ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებებში 10 ტექნიკუმის 1015 მოსწავლე მონაწილეობდა.

პირველი სამი ადგილი ასე განაწილდა: 1. პოლიტექნიკური ტექნიკუმი, 2. მწვრთნელთა სკოლა, 3. მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი.

სპარტაკიადის საზეიმო დახურვაზე, რომელიც თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის სააქტო დარბაზში მოეწყო, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ფიზიკური კულტურის განყოფილების უფროსმა შ. სუხიშვილმა მასპინძლებს წარმატება მოულოცა.

მთავარმა მსაჯმა ა. ზუხბაიამ აღნიშნა, რომ მხოლოდ პოლიტექნიკურმა ტექნიკუმმა შეძლო ყველა სახეობაში გუნდების გამოყვანა. მსუბუქი მრეწველობის და მწვრთნელთა სკოლის კოლექტივები მხოლოდ ჩოგბურთელთა ტურნირში არ მონაწილეობდნენ, ვინაიდან დააგვიანეს განაცხადის წარმოდგენა. ამავე მიზეზით მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდები არ დაუშვეს. ზოგმა სასწავლებელმა საერთოდ არ იზრუნა გუნდის გამოყვანისთვის. მაგალითად, ინდუსტრიალური ტექნიკუმი არ მონაწილეობდა სპორტულ ტანმოვარჯიშეთა, მძლეოსანთა, მოცურავეთა, კალათბურთელთა და ფრენბურთელთა შეჯიბრებაში.

ის, რომ სპარტაკიადაში არ მონაწილეობდნენ საფინანსო-ეკონომიური, სამრეწველო-ეკონომიური და საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმების კოლექტივები, ნამდვილად შეუწყნარებელია. ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მოცურავეთა ასპარეზობის ორგანიზატორები, რადგანაც ბევრი ტექნიკუმი არასრული გუნდით მონაწილეობდა. მთლიანად დაკომპლექტებული გუნდები მხოლოდ პოლიტექნიკურმა, მსუბუქი მრეწველობისა და მწვრთნელთა სკოლის კოლექტივებმა გამოიყვანეს.

სპორტულ ტანვარჯიშში შეჯიბრების მეორე დღეს ნებისმიერი პროგრამის შესრულების დროს მთავარ მსაჯთა კოლეგიამ კოოპერაციული ტექნიკუმის გუნდი მოხსნა შეჯიბრებიდან სუსტი მომზადებისთვის.

მძლეოსნობაში 370 მონაწილიდან ცამეტმა II თანრიგის ნორმატივი შეასრულა, 48 — III, ცურვაში სამმა სპორტსმენმა შეასრულა II და ამდენივემ III თანრიგი.

სპორტულ ტანვარჯიშში ოსტატის ნორმატივი მხოლოდ დ. კანთელაძემ (მწვრთნელთა სკოლა) შეასრულა. ვაჟებიდან ერთმა ტანმოვარჯიშემ II და ერთმა III თანრიგი მოიპოვა, ნებისმიერ პროგრამაში ოსტატობის კანდიდატი ხუთი გოგონა მონაწილეობდა, მაგრამ მაღალი შედეგი ვერცერთმა ვერ აჩვენა.

გამარჯვებულ კოლექტივებსა და გუნდებს გადაეცათ თასები, ვიმპელები და სიგელები.

ლ. ხეცურიანი.
(ჩვენი კორ.).



დილიდან გვიან საღამომდე თბილისის საცურაო აუზში ხალხმრავლობაა. ყოველი წუთი გამოყენებულია წვრთნისთვის, სპორტული ოსტატობის ამაღლებისთვის.

— განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოირჩევიან ყველაზე ნორჩი მოცურავეები, — გვეუბნება „ნორჩი დინამოელის" მწვრთნელი ი. ნათაძე, რომელსაც მრავალი კარგი სპორტსმენი აღუზრდია. ვ. ნახუცრიშვილსა და ა. ჩაჩიბაიას, მხოლოდ 11 წელი შეუსრულდათ, მაგრამ ისინი მოზრდილთა მეორეთანრიგოსნები არიან, 7 წლის დ. ჭანტურიას კი მოზრდილთა მესამე თანრიგი აქვს.

„ჩვენი ოლიმპიური იმედები", — ამბობენ მათ შესახებ საცურაო აუზში.

ს უ რ ა თ ზ ე: „ნორჩი დინამოელის" მწვრთნელი ი. ნათაძე თავის აღსაზრდელებთან.

# პირველი ლაურეატი

საქართველოს მოცურავეთა მწვრთნელებს საოცრად ცუდი პირობები აქვთ მუშაობისთვის. ამას ემატება მწვრთნელთა შორის ასევე საოცრად არაჯანსაღი დამოკიდებულება. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით რამდენიმე დღის წინ გამართული მოცურავეების მწვრთნელთა საბჭოს კრებაზე, სადაც აღმზრდელთა გაუთავებელი, არაჯანსაღი კამათისა და შუღლის მეტს ვერაფერს მოისმენდით.

ბევრი თქმულა და დაწერილა იმის შესახებ, რომ მუშაობის ცუდი პირობების გამო მრავალმა მწვრთნელმა დატოვა საქართველოს საცურაო აუზები. ბევრმა „გაქცეულმა" სხვა რესპუბლიკებში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. ერთ-ერთი მათგანია რსფსრ-ს დამსახურებული მწვრთნელი პავლე იოსელიანი. მან მოცურავეების მწვრთნელთა წლევანდელ პირველ საკავშირო კონკურსში ლაურეატის წოდება მოიპოვა.

ამგვარი კონკურსი 1974 წლის დასაწყისიდან დაიწყო. მასში გამარჯვებულნი შეიძლება გახდნენ მხოლოდ ის სპეციალისტები, ვისი აღსაზრდელებიც ყველაზე მეტ საპრიზო ადგილებს დაიკავებენ საკავშირო და დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

წლევანდელ 25 საუკეთესო მწვრთნელს სწორედ პ. იოსელიანი უდგას სათავეში. ამ სეზონში მისმა აღსაზრდელმა ა. სამსონოვმა სამი საკავშირო რეკორდი დაამყარა. სამსონოვმა ასევე სამი ოქროს მედალი მიიღო საკავშირო ჩემპიონატში 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, აგრეთვე, 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში.

სამსონოვმა ყველაზე დიდ წარმატებას ვენაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში მიაღწია. იგი იქიდან ოქროს მედლით მკერდამშვენებული დაბრუნდა — 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული.

ქართველი მწვრთნელი მეთაურობს ქვეყნის თავისუფალი სტილით მოცურავეთა ბრიგადას. იოსელიანს დიდი წვლილი მიუძღვის ა. რიბაკოვის, ვ. კრივცოვისა და ვ. აბოიმოვის მომზადებაში, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები გახდნენ თავისუფალი სტილით ცურვის ესტაფეტებში.

25 საუკეთესო მწვრთნელის სიაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი არ არის.




# ორი ფავორიტი

შეჯამდა ბათუმის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა გუნდების VI სპარტაკიადის შედეგები. ამაში მონაწილეობდნენ „დინამოს", „სპარტაკის", „განთიადის", „ვოდნიკის", „ლოკომოტივის", „შრომითი რეზერვების", შ. რუსთაველის სახელობის პედინსტიტუტის სპორტულ კლუბ „ბურევესტნიკის", აგრეთვე, ქალაქის განათლების განყოფილების [illegible] სპორტსმენთა (უკონკურსოდ) კოლექტივები.

სპარტაკიადის ჩემპიონის საპატიო წოდებისთვის თავიდანვე დაძაბული ბრძოლა გააჩაღეს „დინამოსა" და „განთიადის" სპორტსმენებმა.

თავისუფალ, კლასიკურ და ქართულ ჭიდაობაში, კალათბურთსა და მძლეოსნობაში შეჯიბრებების დამთავრების შემდეგ დინამოელები დაწინაურდნენ. ისინი განსაკუთრებით წარმატებით გამოვიდნენ მძლეოსნობაში. მაგრამ შემდეგ განთიადელებმა ცურვა დიდი უპირატესობით მოიგეს და მეტოქეს დაეწივნენ, ხოლო შემდეგ, როდესაც ხელბურთში, ლელოში და ჭადრაკში შეჯიბრებათა შედეგები შეჯამდა, „განთიადის" კოლექტივი ლიდერი გახდა.

„განთიადის" ნაკრებმა წარმატება კიდევ უფრო განამტკიცა, როცა წყალბურთელთა და ველოსიპედისტთა ტურნირებიც მოიგო. ამ საზოგადოების სპორტსმენებმა საბოლოოდ 1274 ქულა მოაგროვეს (შარშანდელი ანალოგიური თამაშების შედეგების ჩათვლით) და ჩემპიონობაც დაისაკუთრეს. მეორე ადგილზეა „დინამო" — 1235,5 ქულა, III — „სპარტაკი" — 466.

სულ სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში 25 სახეობაში 1223 სპორტსმენი ასპარეზობდა. შედეგები სახარბიელო როდი იყო: სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა მხოლოდ 4-მა სპორტსმენმა, პირველი თანრიგისა — 31-მა კაცმა, 216 მონაწილე მეორე და მესამე თანრიგის მაჩვენებლით დაკმაყოფილდა.

სპარტაკიადამ დაგვანახა, რომ სპორტსაზოგადოებებში ცუდად ზრუნავენ ტანვარჯიშის, ძალოსნობის, წყალში ხტომის, ველოსპორტის, სასტენდო სროლის, მშვილდოსნობისა და ფარიკაობის განვითარებისთვის. საკმარისია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სპორტულ ტანვარჯიშში გუნდის გამოყვანა ვერც ერთმა სპორტსაზოგადოებამ ვერ შეძლო. სპარტაკიადის მესამე პრიზიორმა „სპარტაკმა" კიდევ 9 სახეობაში ვერ გამოიყვანა გუნდი. ამგვარი მოვლენები გახლდათ მიზეზი, რომ სხვა კოლექტივები „განთიადსა" და „დინამოს" ასე საგრძნობლად ჩამორჩნენ.

სტუდენტები თავიანთ შესაძლებლობაზე აშკარად ცუდად გამოვიდნენ. თუ ადრე ისინი მუდამ საპრიზო ადგილებს ისაკუთრებდნენ, ამჯერად პრიზიორთა მიღმა დარჩნენ და საბოლოოდ V ადგილით დაკმაყოფილდნენ.

„ლოკომოტივის" ნაკრებმა 12 ქულა ძლივს მოაგროვა. მართალია, ეს სპორტსაზოგადოება მხოლოდ რამდენიმე კოლექტივს აერთიანებს და ამიტომაც სპარტაკიადის ყველა სახეობაში მონაწილეობა ვერ შეძლო, მაგრამ რკინიგზელები ფრენბურთში, კალათბურთში, ტყვიის სროლაში, ხელბურთსა და ლელობურთში რომ არ მონაწილეობდნენ, ამ საზოგადოების ხელმძღვანელთა საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულების ბრალია.

სპარტაკიადის სტარტებმა ბევრ სახეობაში მეტად დაბალი შედეგები მოგვცა. ეს განსაკუთრებით ძალოსნებზე ითქმის. მონაწილეთა 50 პროცენტზე მეტი მესამე თანრიგსაც კი ვერ შეწვდა, პირველი თანრიგის შედეგი კი მხოლოდ ერთმა მონაწილემ აჩვენა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს VI სპარტაკიადის ჩათვლაში მხოლოდ პირველი თანრიგის შედეგები შევა, ნათელი გახდება, რომ ბათუმში ამ სახეობაში საგანგაშო მდგომარეობაა. მეტად დაბალი შედეგები აჩვენეს, აგრეთვე, ძალოსნებმა, წყალში მხტომელებმა და სხვა სახეობათა წარმომადგენლებმა.

საქართველოს VI სპარტაკიადის ფინალამდე ცოტა დრო დარჩა. ბათუმის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს (ბათუმელი სპორტსმენები აჭარის ნაკრების ძირითადი ბირთვია) ამოცანაა გადამჭრელი ღონისძიებანი გაატარონ სპარტაკიადაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისთვის.

შ. პატარაია,
სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.
ბათუმი.




სსრ კავშირის ჩემპიონატი
კალათბურთი

# ვინ არის საკალათბურთო მოდის ფუძემდებელი?

მოსკოვი, 12 დეკემბერი. ეს იყო 42-ე ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი, რომელსაც პასუხი უნდა გაეცა რამდენიმე კითხვაზე. მათ შორის მთავარი იყო ერთი: ვინ არის დღევანდელი საკალათბურთო მოდის ფუძემდებელი, ან რომელ გუნდზე უნდა აიღოს ჩვენმა საკლუბო კალათბურთმა სწორება?

მართლაც, ბოლოს და ბოლოს ვინ არის უფრო ძლიერი — ცსკა თუ ლენინგრადის „სპარტაკი"?

სსრ კავშირის ჩემპიონის წლევანდელი წარუმატებლობა სტარტზე ბევრმა სპეციალისტმა შემთხვევას მიაწერა. არმიელებმა ხომ მხოლოდ ორი შეხვედრა წააგეს და მარცხის მიზეზებსაც სწორედ იმაში ეძებდნენ, რომ წაგებული მატჩები მეტოქის მოედნებზე იყო ნათამაშევი. დღეს ცსკა თავის მოედანზე დამარცხდა, დამარცხდა საკუთარი გულშემატკივრების წინაშე მეტად წაძაბული და დაძაბული ბრძოლის შემდეგ. შემთხვევითობაზე ახლა დროს ლაპარაკი ძნელია, თუმცა...

„სპარტაკი" ორჯერ, გადამწყვეტ მომენტებში მარცხის პირას იმყოფებოდა, მაგრამ ორივეჯერ თავი დააღწია ხიფათს არა მეტოქის შეცდომების მიზეზით, არამედ თავისი კალათბურთელების მაღალი ოსტატობის წყალობით. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წამი რჩებოდა. წინ არმიელები იყვნენ (71:69), როცა ბურთი ფილიპოვმა იგდო ხელთ და... ზუსტი სროლის შემდეგ ყველაფერი თავიდან დაიწყო — 71:71.

ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა პირველი დამატებითი დროის ბოლოს. როცა მატჩის დამთავრებას 2 წამი აკლდა, ლენინგრადელმა მაკეევმა პარტნიორებისგან ზუსტი გადაცემა მიიღო, ჩააგდებს იგი ამ ბურთს და გამარჯვება „სპარტაკს" დარჩება, არა და მეტოქეები იძულებულნი გახდებიან ისევ დამატებითი დრო დანიშნონ, ვინაიდან ანგარიშია 77:77. მაკეევმა შორიდან გაბედა სროლა, იმიტომ, რომ კარგ პოზიციაში იმყოფებოდა და... თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა — 79:77.

სპეციალისტებმა ამ საინტერესო და ლამაზი შეხვედრის გმირებად ერთხმად დაასახელეს ბელოვები, ალექსანდრემ — „სპარტაკის" სულმა და გულმა — თავის კოლექტივს 19 ქულა შესძინა, სერგეიმ — ცსკა-სა და სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანმა — 15.

ნ. გრიგორიევი.
(ჩვენი კორ.).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 11 | 10 | 1 | 975-799 | 10 |
| „დინ." (თბ.) | 10 | 9 | 1 | 874-826 | 9 |
| ცსკა | 11 | 8 | 3 | 1043-898 | 8 |
| „დინ." (მ.) | 10 | 8 | 2 | 850-725 | 8 |
| „ჟალგირისი" | 12 | 8 | 4 | 1035-1002 | 8 |
| „კალევი" | 10 | 4 | 6 | 814-813 | 4 |
| „სტროიტელი" | 8 | 2 | 6 | 664-697 | 2 |
| „სტატიბა" | 10 | 2 | 8 | 786-896 | 2 |
| რტი | 10 | 1 | 9 | 775-918 | 1 |
| „ურალმაში" | 14 | 1 | 13 | 1110-1352 | 1 |

# „ჟალგირისის" დეკადა

ბოლო 10 დღის მანძილზე დუბლიორთა ცხრილში არსებითი არაფერი მომხდარა, მხედველობაში თუ არ მივიღებთ სვერდლოვსკის „ურალმაშის" მიერ აღებულ ქულას. ურალელმა კალათბურთელებმა პირველი გამარჯვება იზეიმეს და აუტსაიდერობა ვილნიუსის „სტატიბას" გადაულოცეს. ამას ისინი თბილისის „დინამოს" უნდა უმადლოდნენ, რომელმაც სვერდლოვსკში ორიდან ერთი თამაში წააგო.

მოულოდნელი მარცხი იწვნია ლენინგრადის „სპარტაკმაც" შინ, მოსკოვის რტი-სთან ორთაბრძოლაში. პირველი შეხვედრა ნევისპირელებმა რის ვაივაგლახით მოიგეს (79:74), მაგრამ განმეორებით შეხვედრაში ისინი ბედმა გასწირა. [illegible] გუნდმა სატურნირო ცხრილში მესამე ქულა ჩაიწერა (78:71).

კვლავ პრწყინვალე შთაბეჭდილებას სტოვებს სსრ კავშირის ჩემპიონის, ცსკა-ს დუბლიორთა თამაში. არმიელებს ჯერ არ წაუგიათ შეხვედრა და აქვთ „გატანილ-მიღებული" ქულების იდეალური ბალანსი (+250). ბოლო ორი მატჩი ცსკა-მ კიევის „სტროიტელს" მოუგო, დიდი ანგარიშით (106:76 და 102:74).

მაგრამ ბოლო დეკადა ყველაზე უფრო იღბლიანი კაუნასის „ჟალგირისისთვის" გამოდგა. ლიტვის გუნდი დაეწია ლიდერს და ახლა მასთან ერთად იყოფს I-II ადგილს. „ჟალგირისმა" ჯერ ვილნიუსის „სტატიბა" დაამარცხა (117:70 და 93:78), მერე კი „ურალმაში" (78:73 და 114:70). როგორც ხედავთ, ამ ოთხ შეხვედრაში „ჟალგირისს" მხოლოდ ერთხელ გაუჭირდა ურალელებთან პირველ მატჩში. დანარჩენი შეხვედრები მან დიდი უპირატესობით მოიგო.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 10 | 10 | 0 | 925-675 | 10 |
| „ჟალგირისი" | 12 | 10 | 2 | 1102-930 | 10 |
| „სპარტაკი" | 10 | 7 | 3 | 852-753 | 7 |
| „დინამო" (მ.) | 8 | 7 | 1 | 619-625 | 7 |
| „კალევი" | 8 | 4 | 4 | 713-649 | 4 |
| „სტროიტელი" | 8 | 4 | 4 | 700-706 | 4 |
| „დინ." (თბ.) | 10 | 4 | 6 | 784-880 | 4 |
| რტი | 10 | 3 | 7 | 794-874 | 3 |
| „ურალმაში" | 14 | 1 | 13 | 1014-1430 | 1 |
| „სტატიბა" | 10 | 0 | 10 | 754-935 | 0 |

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არ არის ტარტუს „კალევისა" და მოსკოვის „დინამოს" კალათბურთელთა ორი შეხვედრის შედეგი.

# 25 უძლიერესი ერთ მწკრივში

კალათბურთის საკავშირო ფედერაციამ და სსრ კავშირის სპორტკომიტეტის სპორტული თამაშების სამმართველომ 1974 წლის სეზონის შედეგების მიხედვით დაამტკიცეს 25 უძლიერესი კალათბურთელის სია. აი, როგორ გამოიყურება იგი:

**ცენტრალური თავდამსხმელები.** 1. ა. ბელოვი („სპარტაკი", ლენინგრადი), 2. ა. ბოლოშევი („დინამო", მოსკოვი), 3. ი. პავლოვი („სპარტაკი", ლენინგრადი), 4. ვ. ჟიგილი („დინამო", მოსკოვი), 5. ი. ლიპსო („კალევი", ტარტუ).

**თავდამსხმელები.** 6. ა. სალნიკოვი („სტროიტელი", კიევი), 7. მ. პაულაუსკასი („ჟალგირისი", კაუნასი), 8. ა. ხარჩენკოვი („დინამო", მოსკოვი), 9. პ. ტომსონი („კალევი", ტარტუ), 10. ა. მიშკინი („ურალმაში", სვერდლოვსკი), 11. ა. სიდიაკინი („დინამო", მოსკოვი), 12. ე. კოვალენკო (ცსკა), 13. მ. ქორქია („დინამო", თბილისი), 14. ა. ჟარმუხამედოვი (ცსკა), 15. ლ. ეგლიტისი („ჟალგირისი", კაუნასი).

**მცველები.** 16. ს. ბელოვი, 17. ი. ედეშკო, 18. ვ. მილოსერდოვი (ყველა — ცსკა), 19. ა. ბოლშაკოვი („სპარტაკი", ლენინგრადი), 20. ა. შალნევი (ასკ, კიევი), 21. ა. ტამისტე („კალევი", ტარტუ), 22. ა. მაკეევი („სპარტაკი", ლენინგრადი), 23. ა. ბლიკი („დინამო", მოსკოვი), 24. ვ. არზამასკოვი („სპარტაკი", ლენინგრადი), 25. ა. ლინკიავიჩიუსი („ჟალგირისი", კაუნასი).

როგორც ხედავთ, უძლიერეს კალათბურთელთა სიაში შეყვანილი არიან 42-ე საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე 8 გუნდის წევრები. სიაში ვერ მოხვდნენ მხოლოდ მოსკოვის რტი-სა და ვილნიუსის „სტატიბას" წარმომადგენლები. სამაგიეროდ, ერთი კალათბურთელი I ლიგიდანაა: ეს არის კიევის არმიელთა გუნდის მცველი ა. შალნევი.

უძლიერესთა სიაში ყველაზე მეტი დელეგატი ჰყავთ ცსკა-ს, ლენინგრადის „სპარტაკსა" და მოსკოვის „დინამოს" — 5-5. შემდეგ მოდიან ტარტუს „კალევი" და კაუნასის „ჟალგირისი" — 3-3. თითო კალათბურთელითაა წარმოდგენილი 4 გუნდი: კიევის „სტროიტელი", თბილისის „დინამო", სვერდლოვსკის „ურალმაში" და როგორც უკვე აღვნიშნეთ, კიევის ასკ.

რა მდგომარეობაა ცალკეულ რგოლებში? ყველაზე მეტად გასაკვირი ისაა, რომ ცენტრალურ თავდამსხმელთა შორის არ არის დასახელებული არც ერთი არმიელი, იმ დროს როდესაც „სპარტაკსა" და მოსკოვის „დინამოს" ამ ადგილზე 2-2 კანდიდატი ჰყავთ.

სამაგიეროდ, თავდამსხმელთა სიაში არ არიან ლენინგრადელი სპორტსმენები — ესეც სიმპტომურია. საბჭოთა კალათბურთის ლიდერები ცსკა და „სპარტაკი" ყველაზე ფართოდ წარმოდგენილნი არიან მცველთა თანრიგში. ჩემპიონს აქ ჰყავს სამი საუკეთესო ძლიერი კალათბურთელი (ს. ბელოვი, ი. ედეშკო და ვ. მილოსერდოვი). ამდენივე მცველითაა წარმოდგენილი სიაში ლენინგრადის „სპარტაკი", მაგრამ მისი კანდიდატები (ა. ბოლშაკოვი, ა. მაკეევი, ვ. არზამასკოვი) ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას ვერ ტოვებენ, როგორც არმიელთა ტრიო.

# ჯერჯერობით დაუმარცხებლად...

საბჭოთა კავშირის უძლიერესმა მოთხილამურეებმა დეკემბერში უკვე ოთხ შეჯიბრებაში იასპარეზეს და ქალთა შორის ოთხივეჯერ პირველობა ქვეყნის ნაკრების წევრმა, სიქტივკარელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა რ. სმეტანინამ დაისაკუთრა.

მსოფლიო ჩემპიონატისა და ოლიმპიადის ბევრი ოქროს მედლის მფლობელი, იჟევსკელი სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. კულაკოვა პირველ ორ შეხვედრაში ავადმყოფობის გამო არ მონაწილეობდა, პერმში მოწყობილ ბოლო ორ სტარტზე კი გამოვიდა. ორივე სტარტი მისთვის ძირითადად საწვრთნელი ხასიათისა იყო. ამის მიუხედავად, კულაკოვამ 5 კილომეტრზე რბენაში IX ადგილი დაიკავა — 16.37, ორი დღის შემდეგ კი 8-კილომეტრიან დისტანციაზე შეჯიბრებაში მეექვსე შედეგი (25.39) აჩვენა.

როგორც უკვე ვთქვით, აქაც ორივე დისტანცია სმეტანინამ მოიგო. მან შესაბამისად 15.56 და 24.57 აჩვენა. ორივე დისტანციაზე II ადგილი ნ. ხელიუხინამ (იოშკარ-ოლა) დაისაკუთრა — 16.15 და 25.30.

ვაჟები ჯერ 15, მერე კი 20 კილომეტრზე დარბოდნენ. პერმის პირველი შეჯიბრებაც ვ. როჩევმა (სიქტივკარი) მოიგო — 45.51. სხვა ფავორიტებიდან ს. საველიევი (ხაბაროვსკი) V ადგილს დასჯერდა — 46.48, ი. გარანინი (რუდნი) მეშვიდე იყო — 47.11. ამ დისტანციაზე მოსკოველი ვ. სიმაშოვიც გამოვიდა სარბიელზე და მხოლოდ VIII ადგილი დაიკავა — 47.18.

20 კილომეტრზე რბენამ უპირატესობა საველიევს მოუტანა — 57.17. როჩევმა მასთან 3 წამი წააგო. სიმაშოვმა გაცილებით უკეთესად ირბინა და VI ადგილზე გავიდა — 58.17, გარანინს აშკარად ბედმა უმტყუნა — 59.28 (X ადგილი).

## წერილის კვალდაკვალ

### „რა არის ეს, უდარდელობა თუ უპასუხისმგებლობა?"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 20 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა სახალხო უნივერსიტეტის პრორექტორის, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის, დოცენტ გ. ყირმელაშვილის წერილი, რომელიც შეეხებოდა ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა დიდი ნაწილის მეცადინეობაზე დაუსწრებლობას.

ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი შ. ქველიაშვილი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა, სათანადო გაფრთხილების მიუხედავად, მთელი რიგი სპორტული საზოგადოებებისა და სხვა ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელები გულგრილად, უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ სახალხო უნივერსიტეტის პირველ მეცადინეობაზე ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკების დასწრებას, არ ატარებენ სათანადო ღონისძიებას, რათა მათ დაქვემდებარებაში მყოფი მუშაკები სისტემატურად იმაღლებდნენ ცოდნის დონეს. უფრო მეტიც, პირველ მეცადინეობას თვითონ არ დაესწრნენ სპორტსაზოგადოებების „ლოკომოტივის", „განთიადის", „შრომითი რეზერვების", „დინამოს", უწყებათა ფიზკულტურული ორგანიზაციების, ბავშვთა სპეციალიზებული და კომპლექსური, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრების ხელმძღვანელი მუშაკები.

ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტს სწავლებისადმი აქტივის ასეთი დამოკიდებულება შეუწყნარებლად მიაჩნია და მდგომარეობის გამოსწორებისთვის თბილისის ყველა ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) დაავალა უზრუნველყონ ფიზკულტურულ მუშაკთა, მწვრთნელ-მასწავლებელთა სავალდებულო დასწრება სახალხო უნივერსიტეტის მეცადინეობებზე.

კომიტეტმა მკაცრად გააფრთხილა ქალაქის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომ ისინი მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდონ სახალხო უნივერსიტეტის მეცადინეობებზე დასწრების საქმეს. სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა უფრო დაინტერესების მიზნით, უნივერსიტეტის რექტორს ა. ციხაძეს დაევალა გადასინჯოს უნივერსიტეტის ლექციათა თემატიკა და მიიწვიოს მაღალკვალიფიციური ლექტორები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრაზილიური ფეხბურთი პელეს შემდეგ



„პელესთან ერთად" და „პელეს შემდეგ" — ასე დაჰყოფენ მომავალში ისტორიკოსები ბრაზილიურ ფეხბურთს. 1974 წლის ოქტომბრის დამდეგს პელეს ხელშეკრულებას კლუბ „სანტოსთან" ვადა გაუვიდა. იმ დღეს კლუბის შენობიდან გამოვიდა არა პროფესიონალი ფეხბურთელი პელე, არამედ ედსონ არანტეს დო ნასიმენტო.

პელემ ითხოვა დიდი ზარზეიმით გაცილებას ნუ მომიწყობთო. „სანტოსს" პელეს მონაწილეობით ბოლო შეხვედრა ჰქონდა ნაკლებად ცნობილ კლუბ „პონტეპრეტასთან", რომელიც სან-პაულუს ერთ-ერთი ლიგის პირველობაში გამოდის. უფრო ადრე, 1971 წლის ზაფხულში, პელე ბრაზილიის ნაკრებს გამოეთხოვა რიო-დე-ჟანეიროში და სან-პაულუში გამართულ 2 მატჩში. იგი ნაკრებთან ერთად არ წავიდა გფრ-ში მორიგ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად და ბრაზილიელი გულშემატკივრები, რომლებიც ჩვეულებრივ მალე ივიწყებენ კვარცხლბეკიდან ჩამოგდებულ თავიანთ კერპებს, ამჯერად ლოცვასთან ერთად იმეორებდნენ ერთ სახელს, რომელსაც, მათი აზრით, შეეძლო ახალი წარმატება მოეტანა „ყვითელ-მწვანეთა" გუნდისთვის. ეს ახალი სახელი ზაგალო იყო.

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ზაგალომ, როგორც ცნობილია, გფრ-ში ფიასკო განიცადა. მისი გუნდის თავდამსხმელები მინდორზე უსუსურნი ჩანდნენ, ხოლო მცველები, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს მათთვის უჩვეულო ნერვულ დაძაბულობას, აშკარად უხეშობდნენ. კერპების დამხობა გაგრძელდა და ბრაზილიელმა ფეხბურთის მოყვარულებმა ზაგალოც ამოირეცხეს გულიდან.

ახლა ყველას დიდის სახელი აკერია პირზე. მაგრამ, სანამ „შავ პრინცზე" (ასე უწოდებდნენ დიდის, როცა იგი სარბიელზე გამოდიოდა და ასე იხსენიებენ ახლაც) დავიწყებდეთ ლაპარაკს, საინტერესო იქნება გავიხსენოთ პელეს სიტყვები, წარმოთქმული მისი საფეხბურთო კარიერის დამთავრების მომენტში:

— მე ფეხბურთს ვტოვებ. ყველა მეკითხება, ვის გადასცემ ფეხბურთის მეფის გვირგვინსო. „მეფე" პოსტი არ არის, ესაა მხოლოდ პრესის მიერ შერქმეული მეტსახელი. მე წინააღმდეგი არა ვარ ამ „გვირგვინის" გადაცემისა, მაგრამ მინდა გადავცე მხოლოდ იმ მოთამაშეს, რომელიც სამჯერ მოიპოვებს მსოფლიო თასს და 1200 გოლს გაიტანს. ამ მოთამაშეს შეუძლია დაიკავოს „მეფის" ადგილი — მე მოვუცდი, ხოლო, თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ მემკვიდრეებზე, შემიძლია დავასახელო დასავლეთ გერმანიის ნაკრების სტოპერი ფრანც ბეკენბაუერი, რომლისთვისაც ფეხბურთში შეუძლებელი არაფერი არსებობს, აგრეთვე ჰოლანდიელი იოჰან კრუიფი, რომელსაც ასევე ვერაფერი დაუდგება წინ მწვანე მინდორზე.

— მე ფეხბურთს ვტოვებ და გული მტკივა. თითქოს რაღაც მიდის ჩემი ცხოვრებიდან, მაგრამ ვერ შევცვლი გადაწყვეტილებას, თამაშს აღარ დავიწყებ წარსულის ბევრი კერპის მსგავსად. ბურთს თავს არ დავანებებ, ისევ ვითამაშებ მეგობრებთან მოყვარულთა გუნდებში, მაგრამ ნამდვილი თამაში? არა, არასდროს აღარ ვითამაშებ.

— მე ბევრი რამ დამამახსოვრდა ჩემი საფეხბურთო ცხოვრებიდან, მაგრამ ყველაზე მეტად — სამ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვება, მეათასე გოლი, სტუმართმოყვრული მიღება ყველგან, სადაც კი ჩავსულვარ, და რასაკვირველია, ის დღე, როცა ერთ-ერთ ქუჩას ტრეს-კორასოიოსში, სადაც დავიბადე 34 წლის წინათ, ჩემი სახელი უწოდეს.

— ვინ დამეხმარა ყველაზე მეტად? ბევრმა ადამიანმა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი ჩემს ცხოვრებაში, ბევრმა გამიწია დახმარება და გამიკაფა გზა, რომ პელედ მექციეულიყავი. ერთ-ერთი მათგანი იყო მამაჩემი დონდინიო, რომელიც მუდამ მაძლევდა სათქმელო რჩევას და იწონებდა ჩემს ოცნებას ფეხბურთელის კარიერაზე. მე ვისურვებდი პირადად გადამეხადა მადლობა ყველა გულშემატკივრისთვის იმ დიდი სიყვარულისა და მხარდაჭერისთვის, რასაც ვგრძნობდი მთელი ჩემი საფეხბურთო ცხოვრების მანძილზე. და, თუ ოდესმე გული გავუტეხე რომელიმე ჩემს პატივისმცემელს, ვთხოვ მაპატიონ.

მაშ ასე, კაცი, რომელმაც 18 წლის მანძილზე 1253 მატჩში 1216 ბურთი გაიტანა, წავიდა ფეხბურთიდან.

...პელე—ზაგალო—დიდი. ისინი ერთად თამაშობდნენ 1958 წელს შვეციაში, სადაც ბრაზილიელებმა პირველად მოიგეს მსოფლიო ჩემპიონატი. ახლა ნაკრებში, ოღონდ უკვე მწვრთნელის პოსტზე, დარჩა მხოლოდ დიდი, სამეულიდან ერთადერთი კაცი, რომლის სახელიც დღეს მჭიდროდ არის დაკავშირებული ბრაზილიური ფეხბურთის იმედებთან.

46 წლის დიდი გამოცდილი მწვრთნელია. მას შემდეგ, რაც თამაშს თავი დაანება, იგი წვრთნიდა „ბოტაფოგოს", მექსიკის „ვერაკრუსს", პერუს „სპორტინგ კრისტალს", მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ამზადებდა პერუს ნაკრებს, შემდეგ მუშაობდა არგენტინის „რივერ პლეიტთან" და თურქეთის კლუბ „ფენერბახჩესთან"... მას ყველგან წარმატება ხვდა. დიდიმ სახელი გაითქვა, როგორც მცოდნე სპეციალისტმა, რომელსაც შეუძლია დაგეგმოს გუნდი რამდენიმე წლისთვის. რა თქმა უნდა, დიდის ბრაზილიის ნაკრებში ყამირი არ დახვდება, მაგრამ იგი უკვე დარწმუნებულია, რომ დასჭირდება საქმის საორგანიზაციო მხარის, პირველ ყოვლისა კი ნაკრების დაკომპლექტების მეთოდების შეცვლა. დიდის განზრახული აქვს ამ მუშაობაში ჩააბას თავისი სახელგანთქმული მეგობრები — მაურო, პელე, ჟერსონი. ისინი უნდა დაეხმარონ ნაკრებისთვის ნიჭიერ მოთამაშეთა მოძებნაში, ეროვნული გუნდის წევრთა „ფსიქოლოგიურ დამუშავებაში". ფსიქოლოგიურ მომზადებას დიდი განსაკუთრებით უსვამს ხაზს. მისი აზრით, მიუნხენში ბრაზილიის ნაკრები ამ მხრივ ჩამოუვარდებოდა მეტოქეთა უმრავლესობას. სხვათა შორის, როცა განვლილ მსოფლიო ჩემპიონატზე ლაპარაკობს, დიდი იდეალურ გუნდად ასახელებს ჰოლანდიის ნაკრებს. „მსოფლიო პირველობათა მთელს ისტორიაში მხოლოდ ორი ღირსეული გუნდი შეიძლება დავასახელოთ: ბრაზილიის 1958 წლის და ჰოლანდიის 1974 წლის ნაკრები გუნდები".

დიდის მიაჩნია, რომ გფრ-ში ბრაზილიელთა რიგებში მხოლოდ ორი ფეხბურთელი იყო, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობენ: ფრანსისკო მარინიო და ჟაირზინიო. „მათ შეიძლება დაემატოს ლეივინიაც. ამ მოთამაშეებს ავიყვანდი მე მომავალი გუნდის საფუძვლად". — თქვა მან.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ბრაზილიელთა ნაკრების ზოგიერთი მოთამაშე ევროპაში „გადასახლდა". პაულო ცეზარი I და ჟაირზინიო მარსელის „ოლიმპიკმა" იყიდა, მარიო მარინიო — „ბარსელონამ".

საფეხბურთო ცხოვრება ბრაზილიაში თავისი რიგით მიმდინარეობს. ლიბერტადორეს თასის მეხუთე გათამაშებაში (სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის გათამაშება) „სან-პაულუმ" სამ ფინალურ მატჩში წააგო არგენტინის „ინდეპენდიენტესთან". ბრაზილიელებმა შინ მოიგეს 2:1, სტუმრად კი წააგეს — 0:2. ნეიტრალურ მინდორზე უფრო ძლიერი არგენტინის გუნდი აღმოჩნდა: თამაშის ბედი გადაწყვიტა 11-მეტრიანი საჯარიმოდან პავონის მიერ გატანილმა ბურთმა.

ჩემპიონატის შემდეგ ისეთ საფეხბურთო ქვეყანაში, როგორიც ბრაზილიაა, ალაპარაკდნენ შინაური ჩემპიონატის მატჩებში ქულათა ჩათვლის შეცვლის შესახებ. წამოაყენეს წინადადება გუნდებს აგრესიულობის გაზრდის მიზნით დამატებითი ქულები დაეწეროთ გატანილი ბურთებისთვის (3 ბურთისთვის — 0,5 ქულა, 5 ბურთისთვის — 1 ქულა და ა. შ.). ნათელმა გონებამ ასეთი წინადადებები სავნოდ მიიჩნია და შტატების ჩემპიონატები ძველი სისტემით დაიწყო. ჩემპიონატებმა უკვე დაასახელეს რამდენიმე ახალი გვარი, რომლებსაც მიმომხილველები დიდის გუნდში მოხვედრას უწინასწარმეტყველებენ: ნახევარმცველი პიტა — „კორინტიანსიდან", თავდამსხმელი ლუიზინიო — „ამერიკიდან", დიასი — „ბოტაფოგოდან".

პელეს საფეხბურთო კლუბს „სანტოსს", ამ დიდი ფეხბურთელის წასვლის შემდეგ, არ წაუგია ზედიზედ 11 მატჩი, ხოლო მეთორმეტეში მინიმალური ანგარიშით — 0:1 დამარცხდა „კორინტიანსთან".

ა. გორბუნოვი.
(საკდესის კორ.).

• • •

ფეხბურთელთა არც ერთ მსოფლიო ჩემპიონატს არ ჰქონია ისეთი რეზონანსი, როგორიც შვეციის 1958 წლის ტურნირს. ამის მიზეზი იყო ბრაზილიის „ოქროს ნაკრები", დიდი გუნდი, რომელმაც თავდაყირა დააყენა მანამდე გაბატონებული წარმოდგენა თამაშზე და რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ, პროგრესულ და სიცოცხლისუნარიან ფეხბურთს.

შვეციის მსოფლიო ჩემპიონატი მრავალმხრივ იყო ღირსშესანიშნავი, ყველაზე მეტად კი იმით, რომ მან ფეხბურთის ტახტზე აკურთხა ყველა დროის შესანიშნავი ოსტატი, „შავი მარგალიტი" — პელე.

ამ სურათებზე აღნიშნულია გვირგვინოსნის მოსვლა და წასვლა დიდი სპორტიდან — ფეხბურთიდან. 16 წელი ყოფს ზედა ფოტოს ქვედასგან. 16 წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიო ფეხბურთში. უცვლელი დარჩა მხოლოდ მისი ეტალონი — პელე.

ზედა ფოტოზე აღბეჭდილია შვეციის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგ ბედნიერი ბრაზილიელი ფეხბურთელები შვეციის ეროვნული ალმით ხელში საპატიო წრეს რომ უვლიან სტოკჰოლმის სტადიონს. წინა პლანზე არიან: ჟილმარი, ზაგალო, გარინჩა და ნილტონ სანტოსი.

ქვედა ფოტო მიუნხენის მსოფლიო ჩემპიონატის დროსაა გადაღებული. პელე უკვე აღარ თამაშობს ფეხბურთს. ფეხბურთს გამოეთხოვა გფრ-ის ერთ-ერთი პოპულარული სპორტსმენი უვე ზეელერიც. ახლა ისინი გადამღები „ვარსკვლავები" არიან და... უბრალო მაყურებლები, რომლებიც, ამის მიუხედავად, ყოველ წუთს გულშემატკივრების ყურადღების ცენტრში იმყოფებიან...



---

ჭადრაკი




თბილისი—74

XII ტური. ვ. ნიჩევსკი (იუგოსლავია) — გ. სიგურიონსონი (ისლანდია) 1:0, ა. ტუზოვსკი (სოხუმი) — თ. გიორგაძე 0:1, ე. გუფელდი—ბ. გურგენიძე (სამივე — თბილისი) 1:0, ვ. ბაგიროვი (ბაქო) — ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი) 0,5:0,5, რ. ხოლმოვი (მოსკოვი) — ე. უბილავა (თბილისი) 0,5:0,5, ვ. ჩოკილტია (რუმინეთი) — ა. შნაპიკი (პოლონეთი) 1:0, რ. კინი (ინგლისი) — ვ. შმიდტი (პოლონეთი) 1:0, ს. ბოხოსიანი (ბულგარეთი) — გ. ლებრედო (კუბა) 1:0.

XIII ტური. გიორგაძე — ბაგიროვი 0,5:0,5, შმიდტი — გუფელდი 0,5:0,5, უბილავა — ჩოკილტია 0,5:0,5, გაფრინდაშვილი — ხოლმოვი 0:1, სიგურიონსონი — ტუზოვსკი 1:0, გურგენიძე — ბოხოსიანი 0:1, ლებრედო — ნიჩევსკი 0,5:0,5, შნაპიკი — კინი 1:0.

გადადებული პარტიების დამთავრება. შმიდტი — ჩოკილტია 0,5:0,5, გაფრინდაშვილი — ტუზოვსკი 1:0.

13 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან თ. გიორგაძე, ე. გუფელდი — 8,5-8,5 ქულა, რ. ხოლმოვი — 8, ვ. ბაგიროვი, გ. სიგურიონსონი — 7,5-7,5, ე. უბილავა, ვ. ჩოკილტია, რ. კინი, ნ. გაფრინდაშვილი — 7-7.

## ბრძოლა ფინიშზე

ფინიშმა გაამძაფრა ბრძოლა... ბალებისთვის. როგორც ვწერდით, მემორიალში დაწესებულია საერთაშორისო დიდოსტატისა და საერთაშორისო ოსტატის თითო ბალის ნორმატივები შესაბამისად 10 და 7,5 ქულა. რამდენიმე მოჭადრაკეს თითქმის ბოლო მომენტამდე ჰქონდა დიდოსტატის ბალის მიღების შანსი. ახლა იგი მხოლოდ გიორგაძეს აქვს.

კინს, ჩოკილტიას, სიგურიონსონსა და შმიდტს დიდოსტატის თითო ბალი აქვთ. მეორე ბალის და დიდოსტატად გახდომის იმედით ჩამოვიდნენ ისინი თბილისში. თავიდან ნორმატივს ყაიმებით უახლოვდებოდნენ, მაგრამ გაუთვალისწინებელმა წაგებებმა გამოაფხიზლა ისინი და თამაში მთელი მონდომებით დაიწყეს. გვიან იყო თითზე კბენა! ჩოკილტია აუტსაიდერ ბოხოსიანთან დამარცხდა, კინი — შნაპიკთან, ვინაიდან ძალით შეეცადნენ დაერღვიათ პოზიციის ლოგიკური მოთხოვნა. გიორგაძესთან წაგებამ სიგურიონსონი ისე მოტეხა, რომ იგი კვლავ დამარცხდა. შმიდტი დიდოსტატობაზე ოცნებას უფრო ადრე გამოეთხოვა.

წაგების მერე კინმა სინანულით თქვა:

— რა ფული დავკარგე!

ინგლისს დღემდე არა ჰყავს თავისი დიდოსტატი. ერთმა ლონდონელმა მილიონერმა საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ პირველ ინგლისელ დიდოსტატს 5 ათასი გირვანქა სტერლინგით (ეს ძალიან დიდი თანხაა) დავასაჩუქრებო. პროფესიონალი მოჭადრაკე კინი ახლო იყო საოცნებო წოდებასა და ფულად ჯილდოსთან.

საერთაშორისო ოსტატის ბალის შეძენის სურვილი სტარტზე ბევრ ერთგულ ოსტატს ჰქონდა, მაგრამ ამჟამად მიზანთან ახლოს მხოლოდ უბილავა და ნიჩევსკი არიან. პირველს დარჩენილ ორ პარტიაში ნახევარი ქულის მოგროვება ყოფნის, მეორეს — ქულანახევარი სჭირდება.

გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ მაღალი სპორტული თანრიგის ნორმატივის შესრულებისადმი ზოგიერთი მონაწილის ზედმეტმა ლტოლვამ დააკნინა მემორიალის შემოქმედებითი პოტენციალი. განა მოსაწონია, მაგალითად, გიორგაძე — ბაგიროვის პარტია, რომელიც ყაიმით დამთავრდა 13 წუთში!

პირველი პრიზისთვის ბრძოლა შესამჩნევად გამძაფრდა. მასში ძირითადად ლიდერთა პირველი ხუთეული მონაწილეობს. ზოგი მათგანი ერთმანეთს შეხვდება დასკვნით ტურებში.

ფინიშზე დიდი ენერგიით თამაშობენ გუფელდი და ხოლმოვი.

გუფელდმა ორდღიანი დაძაბული თამაშის შემდეგ მოუგო გურგენიძეს, რომელიც ცუდ ფორმაში ყოფნის გამო დიდოსტატის ძალას მხოლოდ ცალკეულ პარტიებში ამჟღავნებს.

ხოლმოვს ნონასთან შეხვედრაში ბედმაც გაუღიმა. ფრანგული დაცვით დაწყებულ პარტიაში ღრმა პოზიციური ბრძოლა მიმდინარეობდა. დიდოსტატმა მეტოქე რთული ამოცანების წინაშე დააყენა. ცაიტნოტის მიუხედავად მოჭადრაკე ქალმა წარმატებით გაართვა მათ თავი და პარტია ყაიმით უნდა დამთავრებულიყო. მოხდა მოულოდნელი: თამაშის დრო ამოწურული იყო, როცა ნონამ კიდევ ერთი სვლა გააკეთა, რაც საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა.

ფინიში ალბათ კიდევ ახალ მოულოდნელობებს შემოგვთავაზებს.

თ. გიორგაძე,
მემორიალის მთავარი მსაჯი,
საერთაშორისო არბიტრი.

### გადატანილია 20 იანვრისთვის

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია იტყობინება, რომ ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ნ. ალექსანდრია — ი. ლევიტინას შორის გაიმართება მოსკოვში 1975 წლის 20 იანვრიდან. მატჩის დაწყება 23 დეკემბრისთვის იყო დანიშნული. გადატანა გამოწვეულია იმით, რომ ბავშვთა საახალწლო დღესასწაულების გამო დედაქალაქში დეკემბერ — იანვრისთვის ვერ გამოინახა ამ მნიშვნელოვანი მატჩისთვის შესაფერი დარბაზი.

## მეორე ნახევრის სტარტზე

ლენინგრადში 42-ე საკავშირო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) ტურნირში გადადებული პარტიების დამთავრებისას მ. ტალმა (რიგა) მოუგო ი. ბალაშოვსა და ბ. გულკოს (ორივე — მოსკოვი). ყაიმით დამთავრდა ო. რომანიშინ (ლვოვი) — მ. დვორეცკისა და ე. ვასიუკოვ (ორივე—მოსკოვი) — ბალაშოვის პარტიები.

IX ტურით შეჯიბრების მეორე ნახევარი დაიწყო. ლიდერებმა ტალმა რომანიშინთან და ლ. პოლუგაევსკიმ (მოსკოვის ოლქი) — ლ. ალბურტმან (ოდესა) პარტია ყაიმით დაამთავრეს. ზავით დასრულდა, აგრეთვე, მ. ტაიმანოვ (ლენინგრადი) — ვასიუკოვისა და ვ. სავონ (ხარკოვი) — დვორეცკის შეხვედრები.

ვ. კუპრეიჩიკმა (მინსკი) სძლია ა. გრიგორიანს (მოსკოვი).

ბალაშოვ — გულკოსა და ა. ბელიავსკი (ლვოვი) — ვ. ცეშკოვსკის (ომსკი) პარტიები გადაიდო. გ. კუზმინის (ვოროშილოვგრადი) ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი შეხვედრა რ. ვაგანიანთან (ერევანი).

9 ტურის შემდეგ ლიდერობენ მ. ტალი, ლ. პოლუგაევსკი — 6-6 ქულა, ა. ბელიავსკი — 5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. დვორეცკი — 5.



## ახალი სასახლე

**ბუქარესტი.** დამთავრდა მშენებლობა ახალი სპორტის სასახლისა, რომელიც 7000 მაყურებელს იტევს. ეს რუმინეთში ყველაზე მოდერნიზებული სპორტული ნაგებობაა. პირველი ღონისძიება, რომელიც სასახლეში ჩატარდა, იყო ქვეყნის ჩემპიონატი კრივში.

## ჩემპიონი სტადიონებს შორის

**ვარშავა.** პოლონეთის სტადიონებს შორის უკვე მერამდენე წელია გაშლილია შეჯიბრება იმის დასადგენად, თუ რომელს უფრო წესიერი ფეხბურთელები და მაყურებლები ჰყავს. ყველა სტადიონს ყოველი მატჩის შემდეგ შეფასებას აძლევენ სტუმარი გუნდის კაპიტანი, მთავარი არბიტრი და პოლონეთის ტელეგრაფის სააგენტოს წარმომადგენელი. შეფასებისას მხედველობაში ღებულობენ შეჯიბრების ორგანიზაციას (ხუთბალიანი სისტემა), მაყურებელთა და მასპინძელი გუნდის საქციელს. 1973-1974 წლების სეზონის მიხედვით ჩემპიონის სახელი მიეკუთვნა მილეცის „სტალის“ სტადიონს.

## ავტოსპორტი

**ლონდონი.** ინგლისის გზებზე დამთავრდა საერთაშორისო ავტორალი. გაიმარჯვა ფინელმა ტ. მაკინენმა, რომელიც „ფორდ ესკორტით“ გამოდიოდა. II ადგილზეა ე. ბლომკვისტი (შვეცია) „სააბით“, III — ნ. მურანი (იტალია) „ლანჩიათი“.

## სათხილამურო სპორტი

**პარიზი.** მონჟენევრის მახლობლად გაიმართა სამთომოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრება სწრაფდაშვებაში. სტარტზე მხოლოდ ვაჟები გამოვიდნენ. გაიმარჯვა ქ. ენგსტლერმა (ავსტრია) — 1.47,81.

## ცურვა

**ოტავა.** კანადის ცურვის ფედერაციამ მონრეალის ოლიმპიური თამაშებისთვის ამ ქვეყნის მოცურავეთა გუნდის მოსამზადებლად მოიწვია ავსტრალიელი სპეციალისტი ტ. ფრეიერი.



## ბობეკი — „პანათინაიკოსში“

ცნობილი იუგოსლაველი სპეციალისტი ბობეკი რამდენიმე წლის შესვენების შემდეგ დაუბრუნდა საბერძნეთის უძლიერეს კლუბს „პანათინაიკოსს“, სადაც ამ პოსტზე შეცვალა პუშკაში. „პანათინაიკოსი“ დღეისთვის საბერძნეთის ნაკრების საბაზო გუნდია და წარმატებით იცავს თავისი ქვეყნის სპორტულ ღირსებას საერთაშორისო სარბიელზეც.

## ბეკენბაუერი — უკონკურენციოდ

მხოლოდ ნაკრების ფეხბურთელები მონაწილეობდნენ გფრ-ში გამოცხადებულ კონკურსში, რომელსაც უნდა დაესახელებინა რესპუბლიკის № 1 მოთამაშე 1974 წლის სეზონში.

ყოველგვარი კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა ბეკენბაუერი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა 411 ქულით. აი, დანარჩენ ფეხბურთელთა ქულებიც: ფოგტსი (124), მაიერი (88), ოვერატი (26), ბრაიტნერი (18), მიულერი (12), ბონჰოფი (9), ჰიონესი (5).

## შესაძლოა, მუნოზი

მას შემდეგ, რაც ესპანეთის ნაკრებმა 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში მარცხი განიცადა, მისი მწვრთნელის კუბალას რეპუტაცია საკმაოდ შეირყა. ახლა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია ეძებს მის შემცვლელს. მიმომხილველთა აზრით, კუბალას შეცვლის ყველაზე მეტი შანსი აქვს ცნობილ სპეციალისტს მიგელ მუნოზს, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე წარმატებით წვრთნიდა მადრიდის „რეალს“.

## ციურიხში, 17 იანვარს

სამივე ევროპული ტურნირის (ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფა-ს თასები) მეოთხედფინალურ შეხვედრათა წილისყრა გაიმართება ციურიხში 17 იანვარს, მატჩები უნდა ჩატარდეს 1975 წლის 5 და 19 მარტს.

## ჟეკოვი აღარ ითამაშებს

ცნობილმა ბულგარელმა თავდამსხმელმა პ. ჟეკოვმა განაცხადა, რომ თავს ანებებს ფეხბურთს. სოფიის ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამეს“ ეს ფეხბურთელი ექვსჯერ იყო ყველაზე უფრო შედეგიანი თავდამსხმელი ბულგარეთში, დაიმსახურა „ფრანს-ფუტბოლის“ ბრინჯაოს ბუციც.

ჟეკოვმა 44-ჯერ ითამაშა ბულგარეთის ეროვნულ ნაკრებში და გაიტანა 25 ბურთი.

# უეფა-ს თასზე

11 დეკემბერს გაიმართა უეფა-ს თასის გამეორებითი მერვედფინალური მატჩები ფეხბურთში.

მოგვყავს ამ შეხვედრათა შედეგები (ფრჩხილებში ნაჩვენებია პირველ შეხვედრათა ანგარიშები):

„აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია) — „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) 2:1 (0:1).

„ბანიკი“ (ოსტრავა, ჩეხოსლოვაკია) — „ნაპოლი“ (იტალია) 1:1 (2:0).

„დინამო“ (დრეზდენი, გდრ) — „ჰამბურგი“ (გფრ) 2:2 (1:4).

„კიოლნი“ (გფრ) — „პარტიზანი“ (ბელგრადი, იუგოსლავია) 5:1 (0:1).

„რეალი“ (სარაგოსა, ესპანეთი) — „ბორუსია“ (მენჰენგლადბახი, გფრ) 2:4 (0:5).

„ტვენტე“ (ენსხედე, ჰოლანდია) — „დუკლა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) 5:0 (1:3).

„ველეჟი“ (მოსტარი, იუგოსლავია) — „დერბი ქაუნთი“ (ინგლისი) 4:1 (1:3).

„ფორტუნა“ (დიუსელდორფი, გფრ) — „ფკ ამსტერდამი“ (ჰოლანდია) 1:2 (0:3).

ამრიგად, გათამაშების შემდგომ წრეში გავიდნენ: „იუვენტუსი“, „ბანიკი“, „ჰამბურგი“, „კიოლნი“, „ბორუსია“, „ტვენტე“, „ველეჟი“ და „ამსტერდამი“.

## ჩემპიონატი... 10 დღეში

ძალიან სწრაფად, 10 დღეში ჩატარდა მონღოლეთის ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელშიც 17 გუნდი მონაწილეობდა.

ჩემპიონის წოდება მოიპოვა „ალდარმა“ (ულან-ბატორი). II ადგილზეა „სამჩინი“.

## კაპიტნების კოლეგია

რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციასთან დაარსდა პირველი ლიგის ყველა გუნდის კაპიტნების კოლეგია. მისი თავმჯდომარეა მ. ლუკესკუ. კოლეგია დროდადრო იკრიბება და განიხილავს მნიშვნელოვან საკითხებს: რომელი მოთამაშეები უნდა გაიწვიონ ნაკრებში, როგორ უნდა ამაღლდეს გუნდების თამაშის კლასი, გაუმჯობესდეს დისციპლინის მდგომარეობა და ა. შ.

## 100 წლისთავი

ესპანეთში საზეიმოდ აღინიშნა აქაური ფეხბურთის 100 წლისთავი. ქ. უელვაში, სადაც ოფიციალური ცნობების თანახმად 100 წლის წინ პირველად დაინერგა ფეხბურთი, მოეწყო საიუბილეო შეხვედრები ცნობილი კლუბების მონაწილეობით.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

**18 დეკემბერს**

ჰადრაკის სასახლეში (ლენინის ქ. № 37) გაიმართება კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის საანგარიშო პლენუმი. დასაწყისი 18 ს.

**19 დეკემბერს**

თბილისში, ამიერკავკასიის რკინიგზის პიონერთა სახლში (პლეხანოვის პრ. № 127-ა) გაიმართება საქართველოს პროფკავშირულ-ფიზკულტურული აქტივის კრება.

დღის წესრიგი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 8 ივნისის დადგენილების შუქზე რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული ღონისძიებების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები.

დასაწყისი 12 ს.

**20 დეკემბერს**

ალპიურ კლუბში (ლენინის ქ. № 37) გაიმართება სასტენდო სროლის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი.

დასაწყისი 12 ს.

**20 დეკემბერს**

საქართველოს ალპიურ კლუბში (ლენინის ქ. № 37) გაიმართება სასროლო სპორტის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი.

დღის წესრიგი: 1. სასროლო სპორტის მდგომარეობა რესპუბლიკაში; 2. რესპუბლიკური ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

დასაწყისი 15 ს.

# „ლელო“ უპასუხებს...

„შეგვატყობინეთ, რომ ნ. ჩიჟოვას სეზონის დამლევს ბირთვის კვრაში მსოფლიო რეკორდი ჩამოართვა ჰ. ფიბინგეროვამ. გთხოვთ გვიამბოთ ახალი რეკორდსმენის შესახებ“.

მ. წერეთელი (თბილისი), გ. კეჩხუაშვილი (გურჯაანი).

პასუხი: გოტვალდოვში, მძლეოსნობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში, ცნობილმა ჩეხოსლოვაკიელმა ბირთვის მკვრელმა ჰელენა ფიბინგეროვამ მართლაც ფენომენალური შედეგი აჩვენა — 12 სანტიმეტრით გააუმჯობესა ნადეჟდა ჩიჟოვას მსოფლიო რეკორდი — 21,45 მ.

ფიბინგეროვა დაიბადა 1949 წლის 13 ივლისს ვეცერემიცეში. მისი პირველი მწვრთნელი იყო ლ. პრილეზსკი. 1967 წლიდან ფიბინგეროვა ოსტრავაშია, სადაც ჩეხოსლოვაკიის ექს-რეკორდსმენ ი. შმიდის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. ყველაზე დიდ წარმატებას მან 1972 წელს მიაღწია, როცა წინა სეზონის მაჩვენებელი — 16,57 მ — ერთბაშად 2,61 მეტრით გაზარდა, შარშან ფიბინგეროვამ ამ შედეგს 1,62 მეტრი მიუმატა, წლეულს კი, როგორც აღვნიშნეთ, მსოფლიო რეკორდსმენიც გახდა — 21,57 მ. ევროპის წლევანდელ ჩემპიონატში, რომელიც სექტემბრის დასაწყისში რომში გაიმართა, ფიბინგეროვა III ადგილზე გავიდა; ჰელენამ კონტინენტის პირველობისთვის მზადების დროს ბარძაყის კუნთი დაიზიანა და მთელი ძალით ასპარეზობა ველარ შეძლო. ორი კვირის შემდეგ, 15 სექტემბერს სუშიცეში გამართულ შეჯიბრებაში მან ბირთვი 21,30 მეტრზე ჰკრა და ჩეხოსლოვაკიის რეკორდი დაამყარა.

ფიბინგეროვამ გოტვალდოვში 21 სექტემბერს სცადა ძალა და პირველივე ცდაზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა, თუმცა ურიგო არც შემდეგი ცდები ჰქონია — 21.37, 20.33, 19.78, 20.49.

## მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში

### სპორტული მოგზაურობა



## ფიზკულტურელთა კროსი ჰანოიში

ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 200-ზე მეტმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა მასობრივ კროსში, რომელსაც სტარტი მიეცა ჰანოის ბოტანიკურ ბაღში.

• • •

სურათზე: 3000 მეტრზე ქალთა გარბენის მომენტი.



## პოლონელი ფეხბურთელები მზადებას დაიწყეს

მიუნხენის მსოფლიო ჩემპიონატში მესამე ადგილზე გასული პოლონელი ფეხბურთელები მომავალი სეზონისთვის გაძლიერებით ემზადებიან.

სურათზე: საწვრთნელი შეკრების მონაწილეთა ჯგუფი (მარცხნიდან) კ. დეინა, ზ. მაშჩიკი, ბ. ბულა და ი. კარვეცკი.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და კადრების განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02897